გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 83

2020 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47.13.003) აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 24 იანვარს №1219 განცხადებით მომართა აკაკი იოსებაშვილმა (პ/ნ 59001022379). აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47.13.003) განთავსებული შენობა-ნაგებობის (ფართობით 279,95 კვ.მ.) იჯარის ფორმით გადაცემა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობის მოსაწყობად. ქონება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისში.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 20 თებერვალს წარმოდგენილი გრ № 13 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით", მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47./13.003) განთავსებული შენობა-ნაგებობის (ფართობით 279,95 კვ.მ.) საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვრა 16 797 (თექვსმეტი ათას შვიდასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47.13.003) განთავსებული შენობა-ნაგებობის (ფართობით 279,95 კვ.მ.) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა,

ელექტრონული აუქციონის ფორმით. რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47.13.003) განთავსებული შენობა-ნაგებობა (ფართობით 279,95 კვ.მ.) 5 (ხუთი) წლის ვადით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობის მოსაწყობად. ქონება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწნისში.
2. მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.07.13.036 (ახალი კოდი ს/კ 66.47.13.003) განთავსებული შენობა-ნაგებობის (ფართობით 279,95 კვ.მ.) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 16 797 (თექვსმეტი ათას შვიდასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.
4. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე